მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს საშობაო ეპისტოლე

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს საშობაო ეპისტოლე მწყემსთმთავრებს,

მწყემსებს, დიაკვნებს, სამონაზვნო დასს და

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა მორწმუნე შვილს

ყოვლადუსამღვდელოესო მღვდელთმთავრებო, პატიოსანო მღვდლებო და დიაკვნებო, ღვთისმოყვარე ბერებო და მონაზვნებო, ძვირფასო ძმებო და დებო!

ქებას აღვუვლენთ რა სამებაში განდიდებულ ღმერთს და ვიზიარებთ თქვენთან ერთად დღევანდელი ზეიმის სიხარულს, მოგმართავთ თქვენ, ჩვენი ეკლესიის მართლმადიდებელ შვილებს, როგორც რუსეთში, ისე მოსკოვის საპატრიარქოს სამწყემსო პასუხისმგებლობის ქვეშ მცხოვრებთ სხვა ქვეყნებში, და გულითადად გილოცავთ ქრისტეს შობის დღესასწაულს – თავისი ქმნილებისადმი შემოქმედის განხორციელებული სიყვარულის დღესასწაულს, ძე ღვთისას დედამიწაზე მოსვლის აღთქმის აღსრულების დღესასწაულს, ცხონებისა და მარადიული სიცოცხლის სასოების დღესასწაულს.

დიდი და საკვირველი, და დიდებული სასწაული აღესრულების დღეს, რამეთუ ქალწული ჰშობს ქალწულებით უხრწნელად, და სიტყვა განკაცნების, ხოლო მამისაგან ყოვლადვე არა განეშორების, მწყემსთა თანა ზეცისა ძალნი ადიდებენ, და მათ თანა ჩვენცა უჯალობთ: დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება (დღესასწაულის სტიქარონი). ამ სიტყვებით ქრისტეს ეკლესია ამოწმობს იდუმალ მოვლენას, რომელიც მოხდა ორ ათასზე მეტი წლის წინ ბეთლემის გამოქვაბულში და შეცვალა მსოფლიო ისტორიის მთელი შემდგომი მსვლელობა. გაოცებითა და კეთილკრძალულებით ვიხრით ჩვენი გულის მუხლებს გამოხსნის შესახებ ადამიანის გონებისათვის

მიუწვდომელი საღვთო ჩანაფიქრის ამ საიდუმლოს წინაშე. მადლიერებით ვიღებთ შემოქმედისა და განმგებლის ჩვენთვის გაღებულ ამ სამსხვერპლო ძღვენს, ჩვენ *აღვიარებთ მადლსა, ვქადაგებთ წყალობასა, არ ვმალავთ ქველის საქმესა* (დიდი აიაზმის ლოცვა).

რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ, 21-ე საუკუნის ქრისტიანებმა, იმისათვის, რომ გავხდეთ ღვთის ამ ჭეშმარიტად ფასდაუდებელი სიკეთის თანაზიარნი და მისი სასუფევლის ღირსვიქმნეთ, რომელიც განმზადებულია *დასაბამითგან სოფლისაით* (მთ. 25:34)?

ყველაფერი, რაც შეგვიძლია და უნდა გავაკეთოთ ჩვენს ცხოვრებაში, ეს არის – სიყვარულითვე ვუპასუხოთ ღვთის სიყვარულს. ეს კი ნიშნავს, ვირწმუნოთ და სრულად მივენდოთ ღმერთს, შევასრულოთ სახარების მცნებები, *მოვიქცეთ ბოროტისაგან და ვქმნათ კეთილი* (ფს. 33:15); ვიყოთ, მაცხოვრის მოწოდების მიხედვით, *მარილნი ქუეყანისანი* და *ნათელნი სოფლისანი* (მთ. 5:13-14).

დაჯილდოვებული თავისუფალი ნებითა და არჩევანის წაურთმეველი უფლებით, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მიიღოს ქრისტე ან უარყოს იგი, იყოს სინათლის მხარეზე – ან ჩაიძიროს ცოდვის სიბნელეში, იცხოვროს სინდისის მიხედვით – ან *წესთა მათებრ ამის სოფლისათა* (კოლ. 2:8), კეთილი საქმით შეიქმნას სამოთხე საკუთარ გულში – ან პირიქით, ბოროტების კეთებით, უკვე აქ, დედამიწაზე, განიცადოს ჯოჯოხეთური ტანჯვები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითოეული ჩვენგანი მოწოდებულია სიხარულისა და ცხოვრების სისავსისკენ, მარტივი სიტყვებით, ბედნიერებისკენ, და ეს – მნიშვნელოვანია ამის გაცნობიერება და გაგება – შეუძლებელია ღმერთის გარეშე, რადგან ის არის სიცოცხლისა და ყოველგვარი სიკეთის წყარო, ის არის შემოქმედი და განმგებელი, ის არის მოსიყვარულე მამა, ჩვენი მზრუნველი დამხმარე და მფარველი. თავისუფალი ნების მქონე ადამიანს შეუძლია აირჩიოს სიცოცხლე და მიაღწიოს ღმერთის მსგავსებას, მაგრამ ის ასევე თავისუფალია თავად აირჩიოს სხვა, უღმერთო და უმადლო ცხოვრება, წარსაწყმედელის გზა.

აი, რატომაც უფალი, რომელმაც ჩვენ შეგვქმნა, არ გვაცხოვნებს ჩვენი მონაწილეობის გარეშე. *კეთილ, სათნო და სრულ საღვთო ნებასთან* (რომ. 12:2) შერწყმული ადამიანის ნება, თუნდაც არასრულყოფილი, მაგრამ სიკეთისკენ მილტოლვილი, ჩვენი მიწიერი ასპარეზის წარმატებით განვლის საწინდარია. საბოლოო ჯამში, თითოეული ადამიანის მარადიული ხვედრი გაგრძელებაა იმ სულიერი მდგომარეობისა, რომელიც მისთვის დამახასიათებელი იყო მიწიერ ცხოვრებაში.

ამის გათვალისწინებით, პავლე მოციქულის სიტყვისამებრ, ვეცადოთ მოვიხვეჭოთ *სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სიტკბოება, სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება, მარხვა, მოთმინება* (გალ. 5:22-23) და სულიწმიდის სხვა ნიჭები. ყველა შესაძლებლობა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ ვიყოთ ქრისტიანები არა მხოლოდ სახელით, არამედ ცხოვრების წესით, ოჯახთან და ახლობლებთან, თანამშრომლებთან და თანამუშაკებთან, და ნებისმიერ ადამიანთან დამოკიდებულებით, ვისაც სჭირდება ჩვენი დახმარება და თანადგომა, თანაგრძნობა და მხარდაჭერა.

ყოველ დღეს, განსაკუთრებით ამ დიდ დღესასწაულზე, მოწოდებულნი ვართ გულმოდგინედ ვილოცოთ მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და ღვთის წმინდა ეკლესიების კეთილდღეობისთვის, ავადმყოფთათვის, ტანჯულთათვის, ტყვეთათვის და მათი გადარჩენისთვის. ამ ლოცვის მნიშვნელობა დღეს ძალიან აქტუალურია, რადგან ბოროტების, ომისა და განხეთქილების მსურველმა ძალებმა მართლმადიდებლობას შეუტიეს. ისინი თესავენ მტრობას და სიძულვილს და ყოველგვარ საშუალებას იყენებენ თავიანთი მზაკვრული გეგმების განსახორციელებლად. მაგრამ ჩვენ გვჯერა და ვიმედოვნებთ, რომ ღმერთის ძალით შერცხვენილი იქნება დემონებისა და მათი მიმდევრების ყველა უძლური თავხედობა. ეს არაერთხელ მომხდარა წარსულში, და ასე იქნება ახლაც. ამაში ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გვარწმუნებს.

განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავ ყველას მიმართ, ვინც ახლა უკრაინაში სამწყემსო მსახურებას ასრულებს, ვინც ხშირად სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ქვეშ აგრძელებს კანონიკური მართლმადიდებლობის ერთგულებას, ვინც უშიშრად მიჰყვება აღმსარებლობის გზას, ითმენს შეურაცხყოფასა და მწუხარებას ქრისტესა და მისი ეკლესიისთვის. ჩვენ ერთნი ვართ, რადგან სიყვარულის გაუწყვეტელი ჯაჭვით ვართ ქრისტეში შეკრულნი. ჩვენ ერთნი ვართ, რადგან წარუვალია მაცხოვრის სიტყვები: *მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა* (მთ. 28:20). ამიტომ ჩვენ, ქრისტიანებს, არავის და არაფრის გვეშინია, როგორც ამას პავლე მოციქული შეგვახსენებს, როცა ამბობს: *უკუეთუ ღმერთი ჩუენ კერძო არს, ვინ არს ძვირის მყოფელ ჩუენდა?* (რომ. 8:31). ამ აღთქმით შთაგონებულნი, ჩვენ ვცხოვრობთ და ვქმნით, ვიბრძვით და ვიმარჯვებთ უფლის სახელით, რადგან, როგორც წმინდა მოციქული პეტრე წერს, და *არავინაი არს სხვით ცხორებაი და არცაღა არს სახელი სხუაი ცისა ქუეშე მოცემული კაცთა, რომლითამცა ჯერ-იყო ცხორებაი ჩუენდა* (საქმ. 4:12); არ ყოფილა და არც იქნება, – ამოწმებს ეკლესია.

უფლის დედამიწაზე მოსვლიდან დღემდე, ყველას, ვისაც მისი სწამს, მიეცა შესაძლებლობა, იყვნენ ზეციერი მამის შვილები, რამეთუ, როგორც წმინდა მოციქული პავლე ამტკიცებს, *ამიერითგან უკუე არღარა ვართ უცხო და მწირ, არამედ თანა-მოქალაქე წმიდათა და სახლეულ ღმრთისა* (ეფეს. 2:19). და ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ყველანი მისი შვილები ვართ, და მასში და მისი მეშვეობით – ერთმანეთის მოყვასნი.

ეკლესიის საღვთო მსახურებებსა და წმიდა წეს-ჩვეულებებში, რომელიც არის ადგილი, სადაც ადამიანი თავის შემოქმედს ხვდება, ჩვენთვის იხსნება მარადისობის კრეტსაბმელი და უკვე აქ, დედამიწაზე, წინასწარ გვეძლევა მომავალი ყოფიერების სისავსის დაგემოვნება, როცა, შესაბამისად წმინდა წერილისა, იქნება ღმერთი *ყოვლად ყოველსა შინა* (1 კორ. 15:28), როცა ვერავინ და ვერაფერი შეძლებს ჩვენს განყენებას *სიყუარულსა ღმრთისასა* (რომ. 8:39), მასთან უერთიერთობის სიხარულს, როდესაც *ახოცავს ყოველივე ცრემლს ადამიანთა თვალთაგან და სიკვდილი აღარ იქნება, რამეთუ გადაეგო ყოველივე უწინდელი* (გამოცხ. 21:4).

აუწყებს რა ხალხს მაცხოვრის სამყაროში მოსვლის სასიხარულო ცნობას, ეკლესია, როგორც მოსიყვარულე დედა, ყველას მოუწოდებს, ირწმუნონ ქრისტე და იცხოვრონ მისი აღთქმის მიხედვით, რათა გახდნენ მარადიული ნეტარების მემკვიდრენი. ჭეშმარიტად უფალი მოვიდა ამქვეყნად, რათა ჩვენ ცად აგვიყვანოს. ის ყოველთვის მოუწოდებს ადამიანებს, მიჰყვნენ სულიერ-ზნეობრივი ფერისცვალების გზას, რომელიც მიიღწევა სახარებისეული მცნებების შესრულებით, ადამიანსა და ღმერთს შორის ნებაყოფლობითი თანამშრომლობით, ღვთიური მადლის შემწეობთ, რომელიც გარდამოდის საეკლესიო საიდუმლოებების მეშვეობით.

და თუ ადამიანებთან ურთიერთობაში, ყოველდღიურ საქმეებში და საზრუნავში ვისწავლით საღვთო დადგენილებებით ხელმძღვანელობას, მაშინ ბევრი რამ შეიცვლება არა მხოლოდ ჩვენში, არამედ ჩვენს ირგვლივაც: ცხოვრება შეიძენს ჭეშმარიტ მნიშვნელობას, აივსება ნამდვილი სიხარულითა და ბედნიერებით.

მაშ, ვიყოთ ღირსნი ქრისტიანული წოდებისა და მოწოდებისა. მივყვეთ ცხოვრების გზას მტკიცე რწმენით და ზეგარდამო დახმარების ურყევი იმედით, გავიხაროთ ყოველი ახალი დღით და კარგი საქმეების კეთების ახალი შესაძლებლობებით, გვიყვარდეს მოყვასი და *ღმერთს ვმადლობდით ყოვლადვე* და *ყოველთათვის* (ეფეს. 5:20), მასვე ეგების ყოველგვარი დიდება, პატივი და თაყვანისცემა უკუნითი-უკუნისანდე. ამინ.

ყველას გილოცავთ დღესასწაულს, ჩემო ძვირფასებო, გილოცავთ ქრისტეს შობას!

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

ქრისტეს შობა

2024/2025 წწ.

ქ. მოსკოვი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92708/